პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ თებერვალი, 2020 წელი ქალაქი ბათუმი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ახმედ მელაშვილის ქ. №13-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 23 იანვრის №1/1-434 ბრძანებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის დამატებითი ქონების სახით საკუთრებაში გადმოცემული, ქ. ბათუმში, ახმედ მელაშვილის ქ. №13-ში მდებარე უძრავი ქონების I სართულზე არსებული 33,67 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (მიწის (ძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N05.21.12.015.01.559).

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **სულიკო თებიძე**

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი  ბ ა რ ა თ ი

## პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ახმედ მელაშვილის ქ. №13-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ
განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 20 თებერვალს №343/02 (№3684/25) წერილით მომართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ა.რ/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2017 წლის 08 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილების თანახმად (რეკომენდაცია #12), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტოს ეთხოვა, განახორციელოს სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ახმედ მელაშვილის ქ. #13-ში მდებარე უძრავი ქონების I სართულზე არსებული 33,67 კვ.მ. ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის (მიწის (ძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N05.21.12.015.01.559) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისთვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 23 იანვრის #1/1-434 ბრძანებით აღნიშნული უძრავი ქონება საკუთრებაში გადმოეცა ქალაქ ბათუმის მინიციპალიტეტს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა, აქედან გამომდინარე აჭარის ავტონიმიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს ზემოაღნიშნული უძრავი ქონების, იქ მცხოვრები მოქალაქისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთაღნიშნული აღნიშნული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ საქმიანობაში ხელშეწყობა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან
საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით კოპინაძე